წინარწმენა რელიგიური და გენდერული უმცირესობებისადმი და მისი პრედიქტორები: რელიგიურობა, ემპათია და განათლების მიღების ადგილი

ნორა ნეფარიძე

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერება და ხელოვნების ფაკულტეტზე სოციალური ფსიქოლოგიის საგნის კრედიტის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

პროგრამა: ფსიქოლოგია

მიმართულება: სოციალური ფსიქოლოგია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ანა მაყაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2024

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს წარმოადგენს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნორა ნეფარიძე

17 ივნისი, 2024

აბსტრაქტი

მოცემული ნაშრომი ფოკუსში აქცევს წინარწმენას რელიგიური და გენდერული უმცირესობების – კათოლიკეებისა და მუსლიმების და ბისექსუალებისა და ტრანსგენდერების – მიმართ და მათ პრედიქტორებს შეისწავლის: უცხოეთში სწავლის გამოცდილებას, რელიგიურობასა და ემპათიას. ხელმისაწვდომი შერჩევისა და კორელაციური და კვაზი-ექსპერიმენტული დიზაინების გამოყენებით, კვლევა უცხოეთში სწავლის გამოცდილების მქონე (N = 61) და ამ გამოცდილების არ-მქონე (N = 63) 124 რესპონდენტთან ჩატარდა. აღმოჩნდა, რომ უცხოეთში სწავლის გამოცდილების მქონეთა წინარწმენის დონე ოთხივე შესწავლილი ჯგუფის მიმართ უფრო დაბალი იყო, ვიდრე ასეთი გამოცდილების არ-მქონეთა წინარწმენის დონე. მეტიც, უცხოეთში სწავლის გამოცდილება უარყოფითად პროგნოზირებდა წინარწმენას ოთხივე ჯგუფისადმი. უარყოფით პრედიქტორთა რანგში გამოვლინდა ემპათიაც, რომელიც ორი ქვესკალით, თანაგანცდითა და სხვისი პოზიციის გაგებით, იყო გაზომილი, თუმცა, ეს ცვლადი მხოლოდ გენდერული უცმირესობებისადმი წინარწმენისთვის აღმოჩნდა მნიშვნელოვანი, თანაც ბისექსუალებისადმი წინარწმენა მხოლოდ თანაგანცდამ იწინასწარმეტყველა, ტრანსგენდერებისადმი კი მხოლოდ სხვისი პოზიციის გაგებამ. რელიგიურობამ, რომელიც ოთხი განზომილების სახით – პრაქტიკით, პარტიკულარიზმით, შედეგებითა და გამოცდილებით – გაიზომა, დადებითი პრედიქტორის ფუნქცია შეასრულა; უფრო კონკრეტულად კი რელიგიური შედეგები მუსლიმებისადმი წინარწმენას წინასწარმეტყველებდა, პარტიკულარიზმი – კათოლიკეებისა და ტრანსგენდერების მიმართ, პრაქტიკა კი კვლავ ტრანსგენდერებისა და ბისექსუალების მიმართ, თუმცა რელიგიური გამოცდილების პრედიქტორული როლი არ გამოვლენილა. დადგინდა ისიც, რომ ყველაზე მაღალი წინარწმენა ტრანსგენდერებისადმია გამოხატული. ნაშრომში მიღებული შედეგები განხილულია.

ძირითადი საძიებო სიტყვები: წინარწმენა, რელიგიურობა, ჯგუფთაშორისი კონტაქტი, ემპათია.

Abstract

The present paper focuses on prejudices towards religious and gender minorities: towards Catholics and Muslims and bisexuals and transgender people, while exploring their predictors: experience of studying abroad, religiosity and empathy. Using available sampling and correlational and quasi-experimental designs, the research was carried out among 124 respondents with an experience of studying abroad (N = 61) and without such experience (N = 63). The findings showed that those with experience of studying abroad had lower levels of prejudice towards all four studied groups than those without this experience. Moreover, studying abroad emerged as a negative predictor of prejudices to all groups. Empathy, measured through two subscales of emphatic concern and perspective taking, also negatively predicted prejudice; however, this variable turned out to be salient only for gender out-group; furthermore, prejudice towards bisexuals was predicted only by empathic concern, while prejudice towards transgender people was predicted only by perspective taking. Religiosity, measured through its four dimensions – practice, particularism, consequences and experience – emerged as a positive predictor; specifically, religious consequences predicted prejudice to Muslims, particularism predicted prejudice to Catholics and transgender people, practice predicted prejudice to transgender people again and bisexuals, while religious experience did not emerge as a significant predictor. The study also revealed that the highest levels of prejudice were expressed towards transgender people. The findings are discussed in the paper.

Keywords: prejudice, religiosity, intergroup contact, empathy.